განათლებისა და მეცნიერების სექტორი - 2014

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #46 / 29.05.2015

2014 წლის მდგომარეობით განათლების სექტორზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების წილი მშპ-ს მიმართ 2.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების მიმართ 9.2%-ია.

განათლების სექტორში რეფორმების დაგეგმვა 2005 წლიდან, ხოლო მათი აქტიურად დანერგვა 2007 წლიდან დაიწყო. 2014 წლის მდგომარეობით, განათლების სექტორის დაფინანსება გაზრდილია როგორც 2013, ასევე 2007 წელთან შედარებით (8.4%-ით, 92.6%-ით შესაბამისად).

განათლების სექტორზე გაწეული ხარჯები მშპ-ს მიმართ, 2007-2014



წყარო: საქსტატი
სახელმწიფო ხაზინა
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2007-2014 წლებში განათლების სექტორზე გაწეული ხარჯები ზრდადი ტენდენციით ხასიათდება.

2014 წლის განათლების სექტორზე გაწეული ხარჯების მაჩვენებელი 8.4%-ით აღემატება 2013 წლის, ხოლო 92.6%-ით - 2007 წლის მაჩვენებლებს. 2015 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით განათლების სექტორის დაფინანსება 15%-ით უნდა გაიზარდოს 2014 წელთან შედარებით.

აღნიშნულ პერიოდში განათლების სექტორზე გაწეული ხარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მიმართ 9.2%-ია, რაც 0.3% პუნქტით ჩამოუვარდება 2013 წლის, ხოლო 1.7% პუნქტით აღემატება 2007 წლის მაჩვენებლებს.

2014 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილია საქონელსა და მომსახურებაზე (40%), სუბსიდიებზე (26.9%), პროცენტზე (25%) და სოც. უზრუნველყოფაზე (11.5%), ხოლო შემცირებულია გრანტებზე (-57.1%), შრომის ანაზღაურებასა (-6.6%) და არაფინანსურ აქტივებზე (16.3%) გაწეული ხარჯები.

2007-2014 წლებში საქართველოს განათლების სექტორი, ისევე როგორც მისი კონტრიბუცია მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში, ზრდადი ტენდენციით ხასიათდება.

2014 წლის მდგომარეობით, განათლების სექტორი 2.3-ჯერ, ხოლო მისი წილი მშპ-ში 1.2% პუნქტით არის გაზრდილი 2007 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით.

აღნიშნულ პერიოდში განათლების სექტორზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების წილი მშპ-ს მიმართ 2.9%-ია, რაც 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელს 0.01% პუნქტით, ხოლო 2007 წლისას 0.31% პუნქტით აღემატება.

2015 წლის საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გაწეული ხარჯები მშპ-ს მიმართ 2.7%-ია.

განათლების სექტორის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 2007-2014



წყარო: სახელმწიფო ხაზინა
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

განათლების სექტორზე გაწეული ხარჯები განათლების საფეხურების მიხედვით, 2007- 2014



წყარო: სახელმწიფო ხაზინა

2014 წელს განათლების სექტორის დაფინანსების სტრუქტურა განათლების საფეხურების მიხედვით შემდეგია: ზოგადი განათლება (69.4%), უმაღლესი განათლება (12.6%), პროფესიული განათლება (2.1%), განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება (3.1%) და სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა (12.9%).

აღნიშნულიდან 2013 წელთან შედარებით გაზრდილია როგორც ზოგად (16.4%; 28.7 მლნ. ლარი), პროფესიულ (55.6%; 5.2 მლნ. ლარი) და უმაღლეს (13%; 10 მლნ. ლარი) განათლებაზე, ასევე განათლების სფეროს დამხმარე მომსახურებასა (15.7%; 2.9 მლნ. ლარი) და ამ სფეროში სხვა არაკლასიფიცირებულ საქმიანობაზე (31%; 20.9 მლნ. ლარი) გაწეული ხარჯები.

2014 წელს, 2007 წელთან შედარებით გაზრდილია როგორც ზოგად (62%-ით), უმაღლეს (79.8%-ით) და განათლების სფეროს დამხმარე მომსახურებაზე (68%-ით) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები, ასევე განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯებიც (6.2-ჯერ). შემცირებულია (5.8%-ით) სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროფესიული განათლების დაფინანსება, თუმცა განათლების ეს საფეხური ფინანსდება საერთაშორისო დონორების მიერ.

სკოლების რაოდენობა და მათში მასწავლებელთა განაწილება, 2007-2015 სასწავლო წლები



წყარო: საქსტატი

2014-15 სასწავლო წლის მდგომარეობით საქართველოში 73 მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, მათ შორის 20 სახელმწიფო და 53 კერძოა.

2014-15 სასწავლო წელს 2007-08 სასწავლო წელთან შედარებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა 83 ერთეულით შემცირდა. მათ შორის, 84 ერთეულით შემცირდა კერძო, ხოლო 1 ერთეულით გაიზარდა სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რიცხვი.

2014-15 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 8389 აკადემიური პოზიციაა. მათ შორის, 63% კერძოში, ხოლო 37% სახელმწიფო დაწესებულებებში. 2007-08 სასწავლო წელთან შედარებით კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური პოზიციების რიცხვი 88.2%-ით (1420 ერთეული), ხოლო საჯაროში - 15.5%-ით (717 ერთეული) გაიზარდა.

სტუდენტთა მიღება პროგრამების მიხედვით, 2012-2015 სასწავლო წლები



წყარო:საქსტატი

2014-15 სასწავლო წლის მდგომარეობით, საქართველოში 2331 სკოლაა, მათ შორის 2085 (89%) საჯარო და 246 (11%) კერძო.

2014-15 სასწავლო წელს სკოლების საერთო რაოდენობა 131 ერთეულით ჩამოუვარდება 2007-2008 სასწავლო წელს არსებული სკოლების რაოდენობას. აღნიშნულ პერიოდში განათლების სიტემაში გატარებული პოლიტიკის შედეგად 130 ერთეულით შემცირდა საჯარო სკოლების რიცხვი.

2014-15 სასწავლო წელს სკოლებში მასწავლებელთა რიცხვი 67394-ია. მათ შორის, 89% საჯარო, ხოლო 11% კერძო სკოლებშია დასაქმებული. 2007-08 სასწავლო წელთან შედარებით, საჯარო სკოლებში დასაქმებულ მასწავლებელთა რაოდენობა შემცირებულია (-13.1%; 9000 ერთეულით), ხოლო კერძო სკოლებში დასაქმებულ მასწავლებელთა რაოდენობა გაზრდილი (14.4%-ით; 959 ერთეული). საჯარო სკოლებში დასაქმებულ მასწავლებელთა რაოდენობის შემცირება 2009-2010 სასწავლო წელს დაიწყო და მას შემდეგ კლებადი ტენდენცია აქვს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და აკადემიური პოზიციების რაოდენობა, 2007-2015 სასწავლო წლებში



წყარო: საქსტატი

2014-15 სასწავლო წელს მიღებულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა 124 223-ს უტოლდება, რაც 6513 ერთეულით აღემატება (5.24%) წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს.

2014-15 სასწავლო წელს მიღებულ სტუდენტთა 69.4% სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 30.6% - კერძოშია.

ამ პერიოდში მიღებულ სტუდენტთა განაწილება პროგრამების მიხედვით შემდეგია: სოციალური მეცნიერება, ბიზნესი და სამართალი (47.3%), ჰუმანიტარული მეცნიერება და ხელოვნება (15.4%), ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (10.6%), საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები (9.2%), მეცნიერება (8.9%), მომსახურება (4.9%), განათლება (2%) და ბოლოს, სოფლის მეურნეობა (1.9%).

მიღებულ სტუდენტთა რაოდენობა 2-ჯერ არის გაზრდილი სოფლის მეურნეობის, 48%-ით საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგების, 11.2%-ით სოციალური მეცნიერების, ბიზნესისა და სამართლის, 2.2%-ით ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის და 1.4%-ით მეცნიერებისა, ხოლო 34.2%-ით არის შემცირებული მომსახურებისა და 8%-ით - ჰუმანიტარული მეცნიერებისა და ხელოვნების პროგრამებზე, 2013-14 სასწავლო წელთან შედარებით.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	I 2014	II 2014	III 2014	IV 2014	2014
ნომინალური მშპ (მლნ. დოლარი)	15846.8	16139.9	3605.3	4064.1	4320.4	4527.8	16528.5
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)	3523.4	3599.6	802.9	905.0	962.1	1008.3	3680.8
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	7.2%	5.2%	5.6%	1.8 %	4.8 %
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	99.1	99.5					103.1
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)	911.6	941.9	265.3*	150.5*	507.5*	349.2*	1 272.5*
უმუშევრობის დონე	15%	14.6%					
საგარეო ვალი (მლნ.დოლარი)	4739	4202					4200
სიღარიბის დონე (რეგიტრირებული)	9.7 %	9.7 %					

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
სახელმწიფო ხაზინა

საპროგნოზო*